ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01181443390**

თარიღი: **24.05.2018**

ადრესატი:
თეონა ახალაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური - III-IV კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილება - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)
მოვალეობის შემსრულებელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 21 მაისის #60-0118143697 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ მოქალაქე არილ დალაქიშვილის მომართვის საფუძველზე, ქ. თბილისი, სოფ დიღომი, ლ. ანდრონიკაშვილის 1 შეს. #6 (ს/კ #01.72.14.032.825) არსებულ მიწის ნაკვეთზე საწყობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის თანახმად, ტერიტორიაზე არსებული (1 ძირი) და გამწვანებული სივრცეების მოსაწყობად გასაშენებელი ხე-მცენარეების რაოდენობა (25 ძირი კვიპაროსი, 20 ძირი მუხა, 75 ძირი ტუიას ბუჩქი, 826 კვ.მ გაზონი) სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (826კვ.მ), გასამწვანებლად შემოთავაზებული საპროექტო მცენარეები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით, ამდენად სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

დამატებით გაცნობებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე, ნებართვის გამცემ ორგანოდ უნდა დაფიქსირდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური.

აქვე მოგახსენებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის 5^1 პუნქტი).

პატივისცემით,

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გიგა გიგაშვილი